სკოლის ფილოსოფია

შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა-ლიცეუმი „სანთელის“ ფილოსოფია ეფუძნება სკოლის ინსტი ტუციურ განვითარებას და გამოყოფს მისი განვითარების 5 ძირითად მახასიათებელს: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამ ოქმედო გეგმები, რომლებიც მნიშვნელოვანი ელემენტებია სკოლის გა ნვითარებისთვის. სკოლა-ლიცეუმის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (მშო ბლები, მოსწავლეები, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლაში დასაქმებული პირები) რომელთა გააზრება, ხელშეწყობა და განვითარება ემსახურება სკოლის მდგრადობას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გრძელვად იან მართვას.

სკოლა-ლიცეუმის განმარტება- ტერმინი „ლიცეუმი“ არის ზოგადსაგანმანა თლებლო დაწესებულების ერთ-ერთი ტიპი; სახელის შერჩევისას ვიხელ მძღვანელეთ ჩვენი დიდი წინაპრის ილია ჭავჭავაძის მიერ ბრძნული ნააზრევიდან რომ, „ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს. ერთ სანთელზედ რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთულს ამით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა“

.

მისია,   ხედვა, ღირებულებები

შემუშავებული და   გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისია

სკოლა-ლიცეუმი „სანთელი“ს მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური მიღწევების მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში სასწავლო პროცესის წარმართვას. მოტივირებული თაობის აღზრდას ინოვაციური,ეფექტური მეთოდების დანერგვით, მოსწა-ვლემ შეძლოს ქვეყნის სიყვარულის, ურთიერთ პატივისცემის ,ტრადიციებისა და ღირებუ-ლებების გააზრება.

ხედვა

სკოლა-ლიცეუმის   ხედვა, არის მოკლე განაცხადი, რომელიც საზღვრავს სკოლის განვითა-რების 7 წლიან პერსრექტივას, იყოს მყარი და მუდმივ   განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავი-სუფალი   და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. წვლილი   შეჰქონდეს   ქვეყ-ნის   კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ღირებულებები

სამართლიანობა- სკოლა-ლიცეუმი აღიარებს სამართლიანობის პრინციპს და თავისი საქმიანობის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თანამონაწილეობა- სკოლა-ლიცეუმში გადაწყვეტილებების   მიღების პროცესი არის ობიქტური მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების და მომზადების პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს,რომელზეც   აისახება ეს   გადაწყვეტილება;-

ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა- სკოლა-ლიცეუმის სასკოლო საზოგადო-ება იზიარებს ურთიერთ თანამშრომლობის პრინციპებს და პასუსუხის-მგებელია თავის ქმედებებზე.

ეფექტურობა-   სკოლა-ლიცეუმი ეფექტურად განკარგავს ფინანსურ, ადანიანურ და მატერიალურ   რესურსებს. მაქსიმალური შედეგის მისაღწევად სკოლა იყენებს შეფასების და თვითშეფასების სისტემას (ვერიფიკაცია) და ორიენტირებულია შედეგზე.;

უსაფრთხოება-   სკოლა-ლიცეუმი უზრუნველყოფს ჯანსაღი სასწავლო და სამუშაო პირობებით უსაფრთხო გარემოს,სადაც ყველა იცავს ეთიკის ნორმებს და შინაგანაწესს.